2025 წლის King of Drift რეგლამენტი

პასუხისმგებლობა.
შემდეგი წესები სავალდებულოა ყველა King of Drift (KOD) ღონისძიებისთვის. KOD იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს განაახლოს ან შეცვალოს ეს წესები და რეგულაციები, მაგრამ იმფორმაცია ცვლილებების შესახებ უნდა იქნას გამოქვეყნებული გონივრულ ვადაში.

ტექნიკური ინსპექტირება.
ტექნიკური ინსპექტირება ჩატარდება KOD-ის ყოველ ღონისძიებაზე და სავალდებულოა, რომ ყველა მრბოლელმა და სატრანსპორტო საშუალებამ გაიაროს შემოწმება. ყველა სარბოლო მანქანამ უნდა გაიაროს ტექნიკური ინსპექტირება შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად. ნებისმიერი სარბოლო მანქანა, რომელიც არ შეესაბამება ამ წესებს და რეგულაციებს, გამოეთიშება შეჯიბრში მონაწილეობას.

თითოეული ტექნიკური ინსპექტირების დრო და ადგილი ეცნობება თითოეულ მრბოლელს. თითოეული მრბოლელის პასუხისმგებლობაა დარწმუნდეს, რომ ისინი მზად არიან ტექნიკური ინსპექტირებისთვის. KOD-ის დანიშნული ტექნიკური ინსპექტორი იტოვებს უფლებას უარყოს ნებისმიერი მანქანა, რომელიც არ აკმაყოფილებს KOD-ის უსაფრთხოების სტანდარტებს. ტექნიკური ინსპექტირების წარუმატებლობის შემთხვევაში, მონაწილეს უფლება ექნება განახორციელოს საჭირო კორექტირება და წარადგინოს ავტომობილი ხელახალი შემოწმებისთვის.
შეჯახების/ინციდენტის შემთხვევაში KOD ტექნიკურმა ინსპექტორმა უნდა გადახედოს ავტომობილს და გადაწყვიტოს გაგრძელების უფლება. მათი გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გაუქმება შეუძლებელია. ყველა სარბოლო მანქანა უნდა შეესაბამებოდეს KOD ავტომობილების უსაფრთხოების წესებს ღონისძიების ნებისმიერ დროს.
მანქანებმა უნდა შეინარჩუნონ ორიგინალური შასის და/ან ჩარჩოს სტრუქტურა ქარხნულ წინა და უკანა საკიდის სამონტაჟო წერტილებს შორის. ავტომობილები რომლებიც არ აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, უნდა მიმართონ KOD-ს დამტკიცებისთვის.

მონაწილე და მისი ვალდებულებები.
შეჯიბრში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვისაც აქვს მართვის მოწმობა ან მოქმედი პროფესიონალური მრბოლის ლიცენზია და არ აქვს დისკვალიფიკაცია რაიმე მიზეზით.

მონაწილეები უნდა დაემორჩილონ KOD-ის ოფიციალური პირის ყველა მოთხოვნას.

შასის მოდიფიკაციები.
ყველა მანქანა უნდა იყოს უკანა წამყვანი. ნებადართულია 4WD-ში RWD კონვერტაცია.

დამცავი კარკასი.
უსაფრთხოების დამცავი კარკასი არ არის სავალდებულო.

დამატებითი უსაფრთხოების მოთხოვნები.
ყველა ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს ქარხნული ან მინიმუმ 4 წერტილიანი უსაფრთხოების ღვედით და ისინი გამართულად უნდა მუშაობდნენ.

ყველა ავტომობილს უნდა ჰქონდეს სათანადოდ (მყარად) დამონტაჟებული სერიული ან სარბოლო სავარძლები.

თუ ავტომობილი აღჭურვილია სპორტული სავარძლით მაშინ სავალდებულოა მას ჰქონდეს 4 ან მეტ წერტილიანი სპორტული ღვედი.

კაბრიოლეტი ავტომობილები.
ნებადართულია კაბრიოლეტი ავტომობილები, მაგრამ უნდა გამოიყენონ მყარი სახურავი.

აკუმულატორი.
აკუმულატორი საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული დადებითი ტერმინალით იზოლირებული და თუ მდებარეობს სალონში მაშინ უნდა იყოს სრულად დაფარული

ცეცხლმაქრი.
რეკომენდირებულია რომ ყველა ავტომობილს ჰქონდეს 2 კგ ცეცხლმაქრი

სამუხრუჭე სისტემა.
ოთხივე მუხრუჭი უნდა იყოს იდეალურად მუშა მდგომარეობაში. ნებადართულია წინა და უკანა მუხრუჭების ცალკე მუშაობა.

უკანა სამუხრუჭე მაშუქები უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში (მაშუქების ადგილის შეცვლა და ჩანაცვლება სხვა ტიპის მაშუქი საშუალებით ნებადართულია, ოღონდ ის უნდა იყოს წითელი ან მოწითალო ფერის)

ბორბლები და დისკები.
ოთხივე საბურავის დისკს უნდა ჰქონდეს კონტრასტული ფერის ზოლი მხოლოდ ერთ რომელიმე კონკრეტულ ნაწილზე.

მინები.
წინა საქარე მინა უნდა იყოს ქარხნული

დასაშვებია გვერდითი და უკანა მინების მოხსნა ან შეცვლა პოლუკარბონატით, მაგრამ თუ ავტომობილი არ არის აღჭურვილი სპორტული სავარძელით და სპორტული ღვედებით, მაშინ მძღოლის მხარეს სავალდებულოა ქარხნული ან პოლუკარბონატის მინის არსებობა.

ინტერიერი.
ყველა არასაჭირო და/ან ადვილად აალებადი ნივთი უნდა მოიხსნას ინტერიერიდან.

დამცავი კარკასის არარსებობის შემთხვევაში მძღოლის კარში უნდა დარჩეს კარის გამაძლიერებელი მილი.
მძღოლის მხარეს სავალდებულოა კარის შიდა მხარე იყოს დაფარული ისე რომ გამოირიცხოს მრბოლელის დაზიანება ბასრ საგანზე

ძრავი და გადაცემათა კოლოფი.
დაშვებულია ძრავისა და გადაცემათა კოლოფის შეცვლა და მოდიფიკაცია.

გამონაბოლქვის სისტემა.
დაშვებულია გამონაბოლქვი სისტემის ცვლილებები ისე რომ შენარჩუნდეს მძღოლის და გარშემო პირთა უსაფრთხოება.

საწვავის სისტემა / ზეთის სისტემა / გაგრილების სისტემა.
საწვავის შემავსებლის ხუფები ყოველთვის საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული. საწვავის სისტემის არც ერთი ნაწილი (გარდა საწვავის ხაზისა) არ შეიძლება იყოს მძღოლის განყოფილებაში

დაშვებულია ზეთის სისტემების მოდიფიკაციები, მაგრამ უნდა იყოს სრულად დახურული და გაჟონვის გარეშე.

საბურავების შეზღუდვები.
მონაწილეობა დასაშვებია მხოლოდ ქუჩის ლეგალური უკანა საბურავებით, რომლებიც კლასიფიცირებულია არაუმეტეს MAX performance ნიშნით.

ნებადართულია ნახევრად სლიკი და სლიკი საბურავების გამოყენება მხოლოდ წინა მხარეს.
უკანა საბურავის მაქსიმალური ზომა არ უნდა აღემატებოდეს 235 მმ-ს, წინა საბურავების ზომა შეზღუდული არაა.
დისკის მაქსიმალური ზომა არ უნდა აღემატებოდეს 18 ინჩს.
დისკის მაქსიმალური სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 10 ინჩს.
წყვილში რბოლის წინ (სტარტის ხაზთან) უკანა საბურავებში ჰაერის წნევა არ უნდა იყოს 2 ბარზე ნაკლები.

მრბოლელის უსაფრთხოების აღჭურვილობა.
ყველა მონაწილემ ვალდებულია რბოლის დროს ეცვას:

ნებისმიერი ტიპის სარბოლო კოსტუმი, სარბოლო ხელთათმანები, სარბოლო ფეხსაცმელი, სერთიფიცირებული ჩაფხუტი.

ბრენდინგი.
KOD სავალდებულო სტიკერები და საბორტო ნომრები უნდა იყოს განთავსებული ყველა მონაწილე ავტომობილზე და უნდა დარჩეს კვალიფიკაციის და შეჯიბრების ყველა ეტაპზე. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მონაწილის დისკვალიფიკაცია.

რბოლის ფორმატი.
King of Drift - არის ნახევრად სამოყვარულო შეჯიბრი დრიფტში (semi-pro), სადაც თითოეული მონაწილე გამოდის ინდივიდუალურად და ასრულებს წინასწარ დადგენილ დავალებას მაქსიმალური სიზუსტით, მაღალი სიჩქარით, მაღალი კუთხით, ისე რომ ავტომობილი არ გამოვიდეს დრიფტიდან, არ გასწორდეს. და არ გადავიდეს ოპოზიტურ დრიფტში.

King of Drift 2025 სარბოლო სეზონი შედგება 5 ეტაპისგან.
სარბოლო სეზონის გამარჯვებული გამოვლინდება ხუთივე ეტაპის ქულების ჯამით.
თოეული ეტაპი შედგება საკვალიფიკაციო გარბენისგან სადაც გამოვლინდება საუკეთესო 32 და წყვილში რბოლისგან სადაც საუკეთესო 32 იბრძოლებს პოდიუმისთვის

გარბენები.
თითოეული გარბენი (როგორც საკვალიფიკაციო ასევე წყვილში) იწყება სტარტის ხაზიდან და მთავრდება ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ.

თითოეული გარბენი შედგება შესასრულებელი დავალებისგან რომელიც თავის თავში მოიცავს ტრასაზე სპეციალურად მონიშნულ ადგილებს.

დავალება.
დავალების სხვადსხვა სექტორი შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს ერთმანეთისგან და მოიცავდეს წინა ან უკანა ბორბლებით გასავლელ ზონებს და სხვადასხვა ობიექტებთან სიახლოვეს.

შეფასება.
თითოეულ გარბენს აფასებს ჟიურის 3 წევრი, რომელთაგან ერთი არის მთავარი ჟიური.
თითოეული ჟიური აფასებს გარბენს მრბოლელის მიერ შესრულებული თითოეული მონაკვეთის წერტილების აღების სიზუსტისა და სტილიდან.
ქულების მაქსიმალური რაოდენობა თითოეულ საკვალიფიკაციო გარბენზე არის 100, აქედან 60 ქულა არის ტრაექტორიის, ხოლო 40 ქულა არის შესრულებული სტილისთვის;

ქულები ითვლება ყველა ჟიურის წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო რაოდენობით.
წყვილებში რბოლისას (ტანდემებში) გამარჯვებულის გამოვლენა ხდება პროფესიონალური დრიფტის წესებით.

ავტომობილის შეცვლის წესი.
თითოეულ შეჯიბრზე დაშვებულია ავტომობილის შეცვლა მხოლოდ ერთხელ
შეჯიბრის ათვლა იწყება პირველი საკვალიფიკაციო გარბენისთანავე (სავარჯიშო გარბენი რომელიც კვალიფიკაციის წინ ხორციელდება ითვლება კვალიფიკაციის ნაწილად).
დაუშვებელია ავტომობილის შეცვლა წყვილებში (ტანდემი) რბოლების შუაში. წყვილებში რბოლა უნდა დასრულდეს იმავე ავტომობილებით როლებითაც დაიწყო. თუ დაინიშნა განმეორებითი რბოლა (one more time) ამ შემთხვევაში გამოცვლა დაშვებულია.

რბოლაში დროის წესები.
თითოეული მონაწილე ვალდებულია მივიდეს სტარტის ხაზთან 2 წუთის განმავლობაში იმ მომენტიდან როცა მას უხმობენ სტარტთან. ეს წესი მოქმედებს Top 4-ში მოხვედრამდე.
Top 4-დან ზემოთ თითოეულ მონაწილეს შეუძლია გამოიყენოს 10 წუთი საბურავების შესაცვლელად და ავტომობილის მზადყოფნაში მოსაყვანად.
თითოეულ მონაწილეს შეუძლია აიღოს 5 წუთიანი სერვისის დრო გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაშ, მხოლოდ TOP8-ში მოხვედრის შემდეგ და ერთ შეჯიბრზე მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არ დაიშვება ამ დროის სხვის სასარგებლოდ გამოყენება.

ძირითადი კვალიფიკაცია.
ყველა მონაწილე გაივლის 2 საკვალიფიკაციო გარბენს რის შედეგადაც საუკეთესო ქულების მქონე TOP 32 გადავა წყვილებში (ტანდემი) საბრძოლველად. ნულოვანი ქულის მქონე მონაწილე ეთიშება რბოლას.

წყვილებში რბოლა (ტანდემი)
წყვლიებში რბოლა გაიმართება სსსფ-ს პროფესიონალური დრიფტის წესების მიხედვით. თითოეული გარბენი შედგება ტრასაზე მონიშნული კონკრეტული დავალებებისგან

სატურნირო ქულების სისტემა.
კვალიფიკაციაში საუკეთესო 16-ს მიენიჭება საკვალიფიკაციო ქულა შემდეგი თანმიმდევრობით:
1 - 16 ქულა, 2 - 15 ქულა, 3 - 14 ქულა, ... 16 - 1 ქულა

წყვილებში (ტანდემი) TOP 32 ქულების მინიჭება მოხდება შემდეგი სისტემით:
1 - 100 ქულა, 2 - 80 ქულა, 3 - 64 ქულა, 4 - 54 ქულა, ტოპ 8 - 48 ქულა
ტოპ 16 - 32 ქულა, ტოპ 32 - 24 ქულა, მონაწილეობა - 16 ქულა.

ბონუს ქულების სისტემა.
ეტაპი 1 - ბონუსების გარეშე, ეტაპი 2 - 10 ბონუს ქულა ყველა მონაწილისთვის, ეტაპი 3 - 20 ბონუს ქულა ყველა მონაწილისთვის, ეტაპი 4 - 30 ბონუს ქულა ყველა მონაწილისთვის, ეტაპი 5 (ფინალი) - 50 ბონუს ქულა ყველა მონაწილისთვის.

სანქცირება არასპორტულ საქციელზე.
არასპორტული ქცევის გამო ნებისმიერი მონაწილე შეიძლება მოიხსნას როგორც კონკრეტული ეტაპიდან ასევე ჩემპიონატიდან.
გადაწყვეტილებას იღებს რბოლის ხელმძღვანელი და საორგანიზაციო საბჭო.

ყველა უფლება დაცულია – King of Drift LLC